



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 134

2019 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის გამოცხადების,
კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმებული 2016 წლის 28 მარტის სასესიო ხელშეკრულების (სესიის ნომერი 8595-GE) სასესიო ხელშეკრულება საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტისათვის, „გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1583574, 20.11.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს კონკურსის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

10. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა არის საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტის (Georgia National Innovation Ecosystem – GENIE) შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს:

- ა) კერძო, საჯარო და აკადემიური სექტორის თანამშრომლობით ინოვაციური საქმიანობასა და ციფრული ეკონომიკის განვითარებაში ჩართვას;
- ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ კოლაბორაციული გამოყენებითი კვლევების განხორციელებას;
- გ) ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი და ტექნოლოგიების ტრანსფერის უნარების გაძლიერებას;
- დ) კომერციული და ტექნოლოგიური ტრანსფერის პოტენციალის მქონე ინოვაციური კვლევების გამოვლენას, განვითარებასა და დანერგვას, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს სოციო-ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრას ან/და გვთავაზობენ მსოფლიო მასშტაბის ინოვაციას.

2. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება ინოვაციური კოლაბორაციული გამოყენებითი კვლევითი პროექტები. კონკურსზე წარმოდგენილი პროექტი ან პროექტით გათვალისწინებული აქტივობა არ შეიძლება იყოს უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა და/ან კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით.

3. კონკურსში მონაწილეობა და დაფინანსების მიღება ეზღუდება იმ პროექტებს, რომლებიც:

- ა) შეიცავს GENIE პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში დასახელებულ რისკებს;
- ბ) თემატურად დაკავშირებულია: სამხედრო ან ბირთვულ ტექნოლოგიებთან; სპირტის ან თამბაქოს წარმოებასთან (ნებადართულია მევენახეობა, მეღვინეობის თემაზე კვლევები);
- გ) ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, რომლებიც უკვე დაფინანსდა.

4. გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის პირობები და სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პროექტის ძირითად პერსონალს (მკვლევართა ჯგუფს),

რომელსაც გააჩნია მასპინძელი ორგანიზაციის მხარდაჭერა კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე წვდომისათვის.

2. ძირითადი პერსონალის სახით, კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ კვლევით და კერძო სექტორს და ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ასევე მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის სტუდენტი;

3. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, მკვლევართა ჯგუფის ლიდერი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

4. პროექტის ძირითადი პერსონალის მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდნენ ახალგაზრდა მკვლევრები - მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ძირითადი პერსონალიდან, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის სტუდენტები.

5. პროექტში ჩართულნი უნდა იყვნენ კვლევის შესაბამისი კერძო სექტორ(ებ)ის წარმომადგენლები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ ძირითადი პერსონალის არაუმეტეს 25 %-ს.

6. პროექტს შესაძლოა ჰყავდეს დამხმარე პერსონალი - ძირითადი პერსონალის დასახმარებლად პროექტის ფარგლებში დასაქმებული სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების განმახორციელებელი პირ(ებ)ი. დაუშვებელია, დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა ან/და დამხმარე პერსონალმა შეითავსოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები.

7. პროექტს უნდა ჰყავდეს მასპინძელი ორგანიზაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი სამეცნიერო-აკადემიური სექტორიდან, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება. მასპინძელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის წესები და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2019 წლის 19 დეკემბრის 18:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2019 წლის 20 დეკემბრის 16:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპზე საჭიროა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS [Grants Management Unified System] (ბმული: <http://gmus.rustaveli.org.ge>) ელექტრონულად დარეგისტრირდეს: პროექტის მასპინძელი ორგანიზაცია, ძირითადი პერსონალი და პროექტი.

3. მასპინძელმა ორგანიზაციამ GMUS-ში უნდა შექმნას/შეავსოს „ორგანიზაციის პროფილი“ და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) სსიპ-ს შემთხვევაში - დაფუძნების დოკუმენტი;
- ბ) ა(ა)იპ-ის და შპს-ს (უსდ) შემთხვევაში - ორგანიზაციის წესდება და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (მიმდინარე წლის მდგომარეობით).

4. ძირითადი პერსონალის ყველა წევრმა GMUS-ში უნდა შექმნას/შეავსოს „მეცნიერის პროფილი“ და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის / მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ სტუდენტის შესაბამისი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 2019 წლის შემოდგომის სემესტრის მდგომარეობით); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს.

ბ) ცნობა სამსახურიდან (სამეცნიერო-კვლევითი სექტორიდან ან ბიზნეს სექტორიდან). უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის შემთხვევაში საკმარისია მისი სამუშაო ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დასაქმება.

5. პროექტის ხელმძღვანელი GMUS-ში გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსზე არეგისტრირებს პროექტს, რისთვისაც საჭიროა ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოადგინოს:

ა) კრებსითი ინფორმაცია (წიმუში - დანართი №2), რომელიც ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს და ზუსტად ასახავს საპროექტო წინადადების საკვანძო ინფორმაციას;

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №3);

გ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ გაცემული. თანადაფინანსების ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №4-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი (იურიდიული ან ფიზიკური) პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია ინგლისურ ენაზე, აუცილებელია, მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ. სავალდებულოა, ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა;

6. GMUS-ში დოკუმენტები იტვირთება PDF ფაილის სახით.

7. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) „კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადება“ (ნომერი - დანართი №5, გენერირდება GMUS-დან) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და მასპინძელი ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილის ორიგინალი ხელმოწერით დადასტურებული და მისი ქართული თარგმანი თარგმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ პირი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე.

8. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით;

9. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეთათვის დამატებითი სახელმძღვანელო დოკუმენტები

1. GENIE პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო;
2. კონკურსში წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული კვლევის სამეცნიერო მიმართულება/ქვემიმართულებები განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით (დანართი №6);
3. პროექტის ბიუჯეტის დაგეგმვისათვის ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი №7).

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;
 - ბ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროექტების წარდგენა ფონდში;
 - გ) კონკურსში მონაწილე პროექტების შესაბამისობის დადგენა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან;
 - დ) პროექტების შეფასება;
 - ე) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება;
 - ვ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება და გრანტის გაცემა.
2. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისად დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

3. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ იგი არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ან საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულყოფილად, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

4. პროექტების შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ ბრძანების მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი წესებით.

5. შეფასების ორივე ეტაპის შედეგები გამოქვეყნდება ფონდის ვებ-გვერდზე.

მუხლი 6. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა

1. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პროექტის ავტორებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და არ დაირიცხება სხვა სარგებელი

ბ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

2. ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასა და პროექტის განხორციელების მონიტორინგს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ ბრძანების მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით დადგენილი წესებით.

მუხლი 7. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს:

ა) პროექტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების კომერციული და ტექნოლოგიური ტრანსფერის პოტენციალის განვითარება;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი და ტექნოლოგიების ტრანსფერის უნარების გაძლიერება, აქტივობების განხორციელება როგორც კვლევით, ასევე შესაბამის ინდუსტრიულ გარემოში.

2. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კოლაბორაციული გამოყენებითი კვლევის საფუძველზე უნდა შეიქმნას ინტელექტუალური საკუთრება (პატენტი, სასარგებლო მოდელი, პროტოტიპი, პროგრამული უზრუნველყოფა, აპლიკაცია, ახალი მასალები, სამედიცინო პროდუქტი,

მოწყობილობა, ახალი ტექნოლოგია, საავტორო უფლება და სხვა).

3. პროექტის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი ახალი ინტელექტუალური საკუთრება და “Know how” ეკუთვნის მკვლევართა ჯგუფს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია დაიცვას საკუთრების უფლება მესამე პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) under GENIE project [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ პუბლიკაციაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდო, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით GENIE პროექტის ფარგლებში”.

5. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

6. შესაძლებელია, პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების მასალებზე გამოქვეყნდეს პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში ან წიგნი, რომელიც დამტკიცებული იქნება დარგობრივი სარედაქციო/ საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია General Information

აუცილებელი ველები აღნიშნულია (*) ვარსკვლავით

1 *	პროექტის სახელწოდება ქართულად Project title in English	
2 *	საპროექტო წინადადება Project proposal	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload
3 *	აბსტრაქტი Abstract	რეკომენდებული სიტყვების რაოდენობა - 300 სიტყვა Recommended word count - 300
4 *	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) Requested funding from SRNSFG (GEL)	
5	თანადაფინანსების თანხა (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Co-funding (GEL) (if applicable)	
6 *	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი) Total budget (GEL)	
7 *	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები) Project duration (months)	მაქს 12 / max 12
8 *	კვლევის შესაბამისი მრეწველობის დარგი/ინდუსტრია Oriented industry	

9 * სამეცნიერო მიმართულებები Scientific fields	
პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field	
სამეცნიერო ქვემიმართულება Sub-field	
1	
2	
3	

10 *	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა) Keywords (no more than 5 terms)	
------	---	--

II გვერდი

ორგანიზაცია
Organization

1 * ინფორმაცია მასპინძელი ორგანიზაციის შესახებ Information on the host institution		
1	მასპინძელი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
	Host institution ID	
2	მასპინძელი ორგანიზაციის დასახელება	
	Host institution	
3	კვლევითი ინსტიტუტია	
	Research institution	
4	მასპინძელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
	Head of the host institution	
5	მასპინძელი ორგანიზაციის ვებგვერდი	
	Webpage of the host institution	
6	ელ.ფოსტა	
	E-mail	
7	ტელეფონი	
	Telephone	
8	მისამართი	
	Address	
9	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს- უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

2 ინფორმაცია თანადაფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information on the co-funding legal/natural person (if applicable)		
10	თანადაფინანსებელი იურიდიული პირის დასახელება	
	Co-funding legal person	
11	მისამართი	
	Address	
12	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს- უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
13	ცნობა თანადაფინანსების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload
14	თანადაფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Co-funding natural person (Name, Surname)	
15	ელ.ფოსტა	
	E-mail	

16	ტელეფონი	
	Telephone	
17	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload

III გვერდი

პერსონალი Personnel

1 * პროექტის ხელმძღვანელი

Principal investigator

1	პროექტის ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
	Principal investigator's ID	
2	პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
	Principal investigator (Name, Surname)	
3	ელ.ფოსტა	
	E-mail	
4	ტელეფონი	
	Telephone	

2 * ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ

N°	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	აკადემიური ხარისხი (დოქტორი, დოქტორანტი, მაგისტრი, მაგისტრანტი)	საქმიანობის სექტორი (სამეცნიერო- კვლევითი სექტორი, კერძო სექტორი)	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი (კი, არა)	დაბადე ბის თარიღ ი	სქესი (მდედრ. მამრ.)
1			პროექტის ხელმძღვანე ლი					
2			მკვლევარი					
3								
4								

Information on key personnel

N°	ID number	Name, Surname	Position in the project	Academic degree (PhD holder, PhD student, Master degree holder, Master student)	Business experience (academic sector, private sector)	Young Scientist (yes, No)	Date of birth	Sex (male, female)
1			Principal Investigator					
2			Researcher					
3								

4								
---	--	--	--	--	--	--	--	--

3. ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

Information on supporting personnel (if applicable)

№	პოზიცია პროექტში Position in the project
1	
2	
3	
4	
5	

IV გვერდი

გეგმა-გრაფიკი

Project Timeframe

1 * პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შედეგების გეგმა-გრაფიკი

შედეგის №	შედეგის დასახელება	შედეგის მოკლე აღწერა	საანგარიშო პერიოდი (კვარტალი)
შ1			1-4 კვარტალი
შ2			
შ3			
შn			

შედეგების ნუმერაცია და წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს საპროექტო წინადადებასთან ზუსტ შესაბამისობაში

Deliverables timeframe

Deliverable №	Deliverable title	Brief description of deliverables	Reporting period Due Quarter (Qn)
D1			
D2			
D3			
Dn			

The deliverables have to be numbered and presented in compliance with the project proposal.

V გვერდი

ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება

Budget and Budget Justification

ხარჯვის კატეგორიები Categories of expenditure	ხარჯვა კვარტალების მიხედვით Quarterly expenditures				Cost (GEL)
	1	2	3	4	

1	ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება (ჯამი) Salary for Key Personnel (sum)					მაქს. 40% ფონდიდან მოთხოვნილი თანხის
	პროექტის ხელმძღვანელი - სახელი, გვარი Principal Investigator – Name, Surname					
	ძირითადი პერსონალი - სახელი, გვარი Key personnel– Name, Surname					
	ძირითადი პერსონალი - სახელი, გვარი Key personnel– Name, Surname					
	ძირითადი პერსონალი - სახელი, გვარი Key personnel– Name, Surname					
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება Salary for Support personnel					მაქს. 10% ფონდიდან მოთხოვნილი თანხის
3	პროექტთან დაკავშირებული მივლინება Project Related Travel					
4	საქონელი, მომარაგება და მომსახურება (მ.შ. საკონსულტაციო მომსახურება) Goods, Supplies and Services (including consulting services)					
5	ძირითადი აქტივები (მ.შ. 500 და მეტი ლარის ღირებულების აპარატურა) Major Assets (including equipment)					
6	ზედნადები Overhead Costs					მაქს. 7% ფონდიდან მოთხოვნილი თანხის
ჯამი Total						მაქს 250 000 ლარი

გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადება უნდა შეივსოს Sylfaen ან Times New Romans შრიფტით. შრიფტის მინიმალური ზომაა 11. სიმბოლოებს შორის გამოყენებული უნდა იყოს სტანდარტული ინტერვალი, ხოლო ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს -1. გვერდი უნდა იყოს A4 ფორმატის და ველები ყველა მხრიდან 10 მმ- თი მაინც უნდა იყოს დაშორებული (არ მოიცავს სქოლიოებსა და სათაურებს)

გვერდების ოდენობა : მთლიანი საპროექტო წინადადების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. ყველა ცხრილი, გრაფიკი, სქოლიო და ნებისმიერი სხვა ელემენტი განიხილება ამ სექციების შემადგენელ ნაწილად და ითვლება გვერდების რაოდენობაში.

აბრევიატურების გამოყენება

შ	მოსალოდნელი შედეგი
ლარი	ქართული ლარი (US \$ 0.35-ის ექვივალენტი)
ის	ინტელექტუალური საკუთრება
სტ	საინფორმაციო ტექნოლოგია
ძპ	ძირითადი პერსონალი
თ	თვე
n	რიცხვი მაგ, 1, 2, 3 და ა.შ.
ა	ამოცანა
პხ	პროექტის ხელმძღვანელი
კვ	კვარტალი
აქ	აქტივობა
ამ	ახალგაზრდა მკვლევარი

პროექტის შემაჯამებელი რეზიუმე გეგმა-გრაფიკის და ბიუჯეტის ჩათვლით

პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
მასპინძელი ორგანიზაცია	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის აღწერა (მაქსიმუმ 28 სიტყვა)	
ძირითადი მიზანი (მაქსიმუმ 8 სიტყვა)	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა(ლარი)	

თანადაფინანსება (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	

1. გამორჩეული მეცნიერება და ინოვაცია

1.1 გამოყენებითი კვლევის იდეა

- კვლევის საკითხზე არსებული ცოდნა, პრობლემის ფორმულირება, ინოვაციური იდეა, ინოვაციური იდეის პოტენციალი

1.2 მიზანი და ამოცანები

- პროექტის მთავარი მიზნები და კონკრეტული ამოცანები

1.3 კონცეფცია და მეთოდოლოგია

- კონცეფციის აღწერა შემდეგი ინდიკატორებით: 1) პროექტის პოზიციონირება „იდეიდან აპლიკაციამდე“, ან „ლაბორატორიიდან ბაზრამდე“ სპექტრში. 2) განსაკუთრებული აქტივობები მაგ. კვლევისთვის, ტექნოლოგიის დემონსტრირებისთვის, პილოტირებისთვის, ბაზრის პირველი რეპლიკაციისთვის და ა.შ.
- მეთოდოლოგიის აღწერა

2. ეფექტურობა

2.1 მოსალოდნელი შედეგები

- მოსალოდნელი ინოვაციური შედეგები და ეფექტები, რომელიც გადაჭრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, წარმოადგენს გლობალური მასშტაბის ინოვაციას, ან მოიტანს საზოგადოებისთვის სხვა მნიშვნელოვანი სარგებელს.

2.2 კვლევის სტრატეგიული მნიშვნელობა და კომერციული შედეგები

- ტექნოლოგიური ტრანსფერის პოტენციალი, პროექტის შედეგების კომერციალიზაცია (პოტენციური ბაზარი(ბაზრები)), ბაზრის ზომა, არეალი, ძირითადი კონკურენტები, პოტენციური პარტნიორები)
- ინტელექტუალური საკუთრების პოტენციალი და შედეგები, რომელიც ასევე მოიცავს მისი დაცვის სტრატეგიას (შიდა და საერთაშორისო დონეზე).

2.3 მაქსიმალური შედეგების მიღწევის ზომები

- პროექტის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით გასატარებელი ზომები, რომელიც განავითარებს ახალგაზრდა მკვლევართა კვლევით უნარებს (მაგ. კვლევების ჩასატარებლად საჭირო ტრეინინგები, ტრეინინგები კვლევით ეთიკასა და

პასუხისმგებლიან კვლევებში, ღია მეცნიერებასა და კომუნიკაციის უნარებში), ასევე ბიზნეს სფეროს წარმომადგენლის მეთვალყურების ქვეშ არაკვლევითი, ტრანსფერული უნარების განვითარება (მაგ, მეწარმეობა, რომელიც ასევე მოიცავს კომუნიკაციის/მოლაპარაკების უნარებს პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან და ინვესტირებთან; ინტელექტუალური საკუთრების უფლების მართვის უნარები).

- ზომები რომელიც უნდა განხორციელდეს, როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგ ინოვაციის ბაზარზე შესატანად.
- პროექტის და მისი მიგნებების გავრცელებისთვის გასატარებელი საკომუნიკაციო ზომები, როგორც გრანტის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგ.

3. განხორციელება

3.1 განხორციელების გეგმა

- პროექტის დეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებს, ამოცანებს და ამოცანების აღწერას, შესაბამის თარიღებს, მისაღწევ შედეგებს, მათზე პასუხისმგებელ პირებს და გეგმა-გრაფიკს.

ცხრილი 3.1ა. სამუშაოების აღწერა

ამოცანის №	ამოცანის სახელწოდება	ამოცანის შესრულებისათვის დაგეგმილი აქტივობები (აქ1,აქ2,აქ3,...აქn და ამოცანების მოკლე აღწერა)
ა.1		
ა.2		
ა.3		
ა.n		

ცხრილი 3.1 ბ. აქტივობების შესრულების გეგმა-გრაფიკი

აქტივობის №	საწყისი თვე (თ1,... თ12)	საბოლოო თვე (თ1,... თ12)	ამოცანასთან დაკავშირებული მისაღწევი შედეგები (შ1, შ2,... შn)	პასუხისმგებელი პირი (სახელი, გვარი)
აქ.1				
აქ.2				
აქ.3				
აქ.n				

შენიშვნა: ჩამოთვალეთ ყველა ამოცანა, ზოგიერთ მათგანს შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ერთი შედეგი, სხვებს-ერთზე მეტი, ხოლო ზოგიერთი ამოცანა შესაძლებელია იყოს მისაღწევი შედეგის გარეშე.

ცხრილი 3.1გ. მისაღწევი შედეგების გეგმა-გრაფიკი

მისაღწევი შედეგი №	მისაღწევი შედეგის სახელწოდება	მისაღწევი შედეგების მოკლე აღწერა	შედეგის მიღწევის კვარტალი (კვ)
შ.1			
შ.2			
შ.3			
შ.ი			

3.2 მენეჯმენტის სტრუქტურა და მკვლევართა გუნდი

- პროექტის განმახორციელებელი გუნდი და სტრატეგია (მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს) მათი კომპეტენციის და პროექტში დაკისრებული როლის გათვალისწინებით.
- კვლევის გუნდი: ძირითადი პერსონალის თითოეული წევრის როლი, პასუხისმგებლობები, მათზე დაკისრებული ამოცანები, მოკლე ბიოგრაფიები იმ კომპეტენციების მითითებით, რომელიც საჭიროა პროექტში მათი როლის შესასრულებლად.
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს პროექტის მიზნების მიღწევას. დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი რისკების შემცირების ღონისძიებები.

3.3 ბიუჯეტი და რესურსების მართვა

- არსებული კვლევითი ინფრასტრუქტურა და/ან ნებისმიერ სხვა საჭირო ძირითადი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება წარმოდგენილ კვლევას, კვლევის ჩატარების რესურსები, ინტელექტუალური საკუთრება, თანადაფინანსება და შემოთავაზებული არაფინანსური მხარდაჭერა.
- შემოთავაზებული ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება ამოცანებისა და კვარტალური დანახარჯების გათვალისწინებით

ცხრილი 3.3 ა. პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ამოცანების მიხედვით)

ხარჯვითი კატეგორიები	კვლევის ამოცანებსა და აქტივობებთან შესაბამისობის დასაბუთება (ა.ი/აქ.ი)
ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება	
დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	
პროექტთან დაკავშირებული	

მივლინება	
საქონელი, მიწოდება და მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება)	
ძირითადი აქტივები (მათ შორის აპარატურა)	
ზედნადები	
თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

ცხრილი 3.3 ბ. პროექტის ბიუჯეტი კვარტლების მიხედვით

	ხარჯვითი კატეგორიები	ხარჯების კვარტლების მიხედვით				თანხა (ლარი)
		კვ 1	კვ 2	კვ 3	კვ 4	
1	ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება					
	პროექტის ხელმძღვანელი – სახელი, გვარი					
	ძირითადი პერსონალი 1 – სახელი, გვარი					
	ძირითადი პერსონალი 2 – სახელი, გვარი					
	ძირითადი პერსონალი 3 – სახელი, გვარი					
	ძირითადი პერსონალი 4 – სახელი, გვარი					
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება					
3	პროექტთან დაკავშირებული მივლინება					
4	საქონელი, მიწოდება და მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება)					
5	ძირითადი აქტივები (მათ შორის აპარატურა)					
6	ზედნადები					
	ჯამი					

გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

თანადაფინანსებელი იურიდიული/ ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	დაფინანსების პერიოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში	თანადაფინანსების თანხა უცხოურ ვალუტაში

(გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსების მიზნობრიობა)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ორგანიზაციის ბეჭედი:

თარიღი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოყენებითი კვლევებისათვის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის

2019 წლის კონკურსზე მონაწილეობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავცევით 2019 წლის 18 ნოემბრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 221/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის დებულებასა“ და სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 20 ნოემბრის № ბრძანებას „გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის 2019 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“. ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას და ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

პროექტის ხელმძღვანელი ძირითად პერსონალთან ერთად ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ:

- 1) გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის 2019 წლის კონკურსზე წარმოდგენილი პროექტი, ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა და/ან მისი კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით და არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს;
- 2) პროექტით არ ითვალისწინებს სამხედრო ან ბირთვულ ტექნოლოგიებთან, ასევე, სპირტის ან თამბაქოს წარმოებასთან დაკავშირებულ თემებზე კვლევას;
- 3) ვაცნობიერებ რა „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო“-ს დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციას, ვადასტურებ, რომ წინამდებარე კვლევა არ შეიცავს აღნიშნულ დოკუმენტით განსაზღვრულ რისკებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის 2019 წლის კონკურსზე.

პროექტის სახელწოდება ქართულად	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	
კვლევის შესაბამისი მრეწველობის დარგი/ინდუსტრია	
პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება	

პროექტის ძირითადი პერსონალი

№	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	ხელმოწერა
1		პროექტის ხელმძღვანელი	
2		მკვლევარი	
3		მკვლევარი	
4		მკვლევარი	
5			

მასპინძელი ორგანიზაცია

მასპინძელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვადასტურებ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას და თანხმობას ვაცხადებ მის გამოყენებაზე პროექტის განხორციელებისათვის.

სრული სახელწოდება		
მისამართი		
ტელეფონი		ელ. ფოსტა
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი		ხელმოწერა
		ბ.ა.

Գործը	Լսելով ընդհանուր և անհատական հարցերի վերաբերյալ հարցազրույցները՝ Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:
1	Լսելով ընդհանուր և անհատական հարցերի վերաբերյալ հարցազրույցները՝
1.1	Մասնակցությունը:
1.2	Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:
1.3	Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:
1.4	Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:
1.5	Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:
1.6	Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար: Հարցազրույցի արդյունքները օգտագործելու համար:

- ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია;
- ბიოქიმიური კვლევის მეთოდები;
- მიკოლოგია;
- ბიოფიზიკა;
- გენეტიკა და მემკვიდრეობითობა (სამედიცინო გენეტიკა შედის 3-ში);
- რეპროდუქციული ბიოლოგია (სამედიცინო ასპექტები შედის 3-ში);
- განვითარების ბიოლოგია;
- მემცენარეობა, ბოტანიკა;
- ზოოლოგია, ორნითოლოგია, ენტომოლოგია, ქვევით მეცნიერებათა ბიოლოგია;
- ზღვის ბიოლოგია, მტკნარი წყლის ბიოლოგია, ლიმნოლოგია; ეკოლოგია; ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია;
- ბიოლოგია (თეორიული, მათემატიკური, თერმული, კრიობიოლოგია, ბიოლოგიური რითმი), ევოლუციური ბიოლოგია;
- ბიოლოგიის სხვა დარგები.

1.7 სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2 ინჟინერია და ტექნოლოგიები

2.1 სამოქალაქო ინჟინერია

- სამოქალაქო ინჟინერია;
- არქიტექტურული ინჟინერია;
- სამშენებლო ინჟინერია, მუნიციპალური და სტრუქტურული ინჟინერია;
- სატრანსპორტო ინჟინერია.

2.2 ელექტროინჟინერია, ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო ინჟინერია

- ელექტრო და ელექტრონული ინჟინერია;
- რობოტეხნიკა და ავტომატური მართვა;
- ავტომატიზაცია და მართვის სისტემები;
- საკომუნიკაციო ინჟინერია და სისტემები;
- ტელეკომუნიკაციები;
- კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფა და კომპიუტერული არქიტექტურა.

2.3 მექანიკური ინჟინერია

- მექანიკური ინჟინერია;
- გამოყენებითი მექანიკა;
- თერმოდინამიკა;
- საავიაციო ინჟინერია;
- ბირთვულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინჟინერია (ბირთვული ფიზიკა შედის 1.3-ში);
- აუდიო ინჟინერია, საიმედოობის ანალიზი.

2.4 ქიმიური ინჟინერია

- ქიმიური ინჟინერია (წარმოება, პროდუქცია);
- ქიმიური პროცესების ტექნოლოგია.

2.5 მასალათა ინჟინერია

- მასალათა ტექნოლოგია;
- კერამიკა;
- დაფარვა და დასაფერი გარსები;
- კომპოზიტები (ლამინატების, არმირებული პლასტიკატების, ლითონკერამიკის, კომბინირებული ბუნებრივი და სინთეზური ბოჭკოს ქსოვილების შევსებული კომპოზიტების ჩათვლით);
- ქაღალდი და ხის მასალა;
- საფეიქრო ქსოვილები/ნაკეთობანი; სინთეზური საღებავების, ბოჭკოების ჩათვლით; (ნანომასალები შედის 2.10-ში; ბიომასალები 2.9-ში).

2.6 სამედიცინო ინჟინერია

- სამედიცინო ტექნოლოგია;
- სამედიცინო ლაბორატორიული ტექნოლოგია (ლაბორატორიული ნიმუშების ანალიზის, დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების ჩათვლით); (ბიომასალები შედის 2.9-ში [ცოცხალი მასალის ფიზიკური მახასიათებლები, როგორიცაა სამედიცინო იმპლანტები, ხელსაწყოები, სენსორები]).

2.7 გარემოს შემსწავლელი ინჟინერია

- გარემოს და გეოლოგიური ინჟინერია, გეოტექნიკა;
- ნავთობმრეწველობა (საწვავი), ენერგია და საწვავი;
- დისტანციური ზონდირება;
- სამთო და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება;
- საზღვაო ინჟინერია, საზღვაო ხომალდები;
- ოკეანის ინჟინერია.

2.8 ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია

- გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიები;
- ბიორემედიაცია, დიაგნოსტიკური ბიოტექნოლოგიები (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები) გარემოს მენეჯმენტში;
- გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიების ეთიკა).

2.9 სამრეწველო ბიოტექნოლოგია

- სამრეწველო ბიოტექნოლოგია;
- ბიოპროცესების ტექნოლოგიები (ინდუსტრიული პროცესები, რომელიც ეფუძნება ბიოლოგიურ აგენტებს პროცესის გასააქტიურებლად), ბიოკატალიზი, ფერმენტაცია;
- ბიოპროდუქტები (პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია ბიოლოგიური ნედლეულისაგან) ბიომასალები, ბიოპლასტიკები, ბიოსაწვავები, ბიოწარმოშობის მასალები და სუფთა ქიმიკატები, ბიოწარმოშობის ახალი მასალები.

2.10 ნანო-ტექნოლოგია

- ნანო-მასალები (პროდუქცია და მახასიათებლები);
- ნანო-პროცესები; (ბიომასალები შედის 2.9-ში).

2.11 სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები

- საკვები და სასმელი პროდუქტები;
- სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები.

3 მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები

3.1 ფუნდამენტური მედიცინა

- ანატომია და მორფოლოგია (მემცენარეობა 1.6-ში);
- ადამიანის გენეტიკა;
- იმუნოლოგია;
- ნეირომეცნიერებანი ფსიქოფიზიოლოგიის ჩათვლით);
- ფარმაკოლოგია და ფარმაცია;
- სამედიცინო ქიმია;
- ტოქსიკოლოგია;
- ფიზიოლოგია (ციტოლოგიის ჩათვლით);
- პათოლოგია.

3.2 კლინიკური მედიცინა

- ანდროლოგია;
- მეანობა და გინეკოლოგია;
- პედიატრია;
- კარდიოლოგია და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები;
- პერიფერიული ვასკულარული დაავადებები;
- ჰემატოლოგია;

- რესპირატორული სისტემის დაავადებები;
- კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა;
- ანესთეზიოლოგია;
- ორთოპედია;
- ქირურგია;
- რადიოლოგია, ბირთვული მედიცინა და სხივური თერაპია;
- ტრანსპლანტაცია;
- სტომატოლოგია, ყბასახის ქირურგია;
- დერმატოლოგია და ვენეროლოგია;
- ალერგოლოგია;
- რევმატოლოგია;
- ენდოკრინოლოგია და ნივთიერებათა ცვლა (დიაბეტისა და ჰორმონების ჩათვლით);
- გასტროენტეროლოგია და ჰეპატოლოგია;
- უროლოგია და ნეფროლოგია;
- ონკოლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია;
- ფსიქიატრია;
- კლინიკური ნევროლოგია;
- გერიატრია და გერონტოლოგია;
- ზოგადი და შინაგანი მედიცინა;
- სხვა კლინიკური მედიცინის დარგები;
- ინტეგრირებული და კომპლემენტალური მედიცინა (ალტერნატიული პრაქტიკული სისტემები).

3.3 ჯანმრთელობის მეცნიერებები

- ჯანდაცვის მეცნიერებანი და სერვისები (მოიცავს ჰოსპიტალურ ადმინისტრირებას, ჯანდაცვის დაფინანსებას);
- ჯანდაცვის პოლიტიკა და სერვისები;
- ავადმყოფის მოვლა, კვება და დიეტეტიკა;
- ჯანდაცვა და გარემოს ჰიგიენა;
- ტროპიკული მედიცინა;
- პარაზიტოლოგია;
- ინფექციური დაავადებები;
- ეპიდემიოლოგია;
- ოკუპაციური ჯანმრთელობა (პროფესიული დაავადებები);
- სპორტი და ფიტნეს მეცნიერებანი;
- სოციალური ბიოსამედიცინო მეცნიერებანი (მოიცავს ოჯახის დაგეგმვას, სექსუალურ ჯანმრთელობას, ფსიქო-ონკოლოგიას, ბიოსამედიცინო კვლევის პოლიტიკურ და სოციალურ ეფექტებს);
- სამედიცინო ეთიკა;
- ნარკომანია.

3.4 სამედიცინო ბიოტექნოლოგია

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბიოტექნოლოგიები;
- უჯრედებზე, ქსოვილებისა და მთლიანი ორგანიზმზე ზემოქმედებაში (რეპროდუქციის ჩათვლით) ჩართული ტექნოლოგიები;
- დნმ-ის, ცილებისა და ფერმენტების იდენტიფიცირების პროცესში ჩართული ტექნოლოგიები და მათი ზემოქმედება დაავადების გამოვლინებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, გენური დიაგნოსტიკა და თერაპიული ინტერვენცია (ფარმაკოგენეტიკა, გენური თერაპია);
- ბიომასალები (ბიოიმპლანტები, ბიომოწყობილობები, ბიოსენსორები);
- ეთიკასთან დაკავშირებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიები.

3.5 მედიცინის სხვა დარგები

- სასამართლო მედიცინა
- მედიცინის სხვა დარგები.

4 აგრარული მეცნიერებები

4.1 სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა

- სოფლის მეურნეობა;
- მეტყვეობა;
- მეთევზეობა;
- წიაღამცოდნეობა;
- მეზღვაობა, მევენახეობა;
- აგრონომია, მცენარეთა გამრავლება და დაცვა; (აგრარული ბიოტექნოლოგიები შედის 4.4-ში).

4.2 მეცხოველეობა და მერძევეობა

- მეცხოველეობა და მერძევეობა; (ბიოტექნოლოგიები მეცხოველეობაში - შედის 4.4-ში)
- მესაქონლეობა;
- შინაური ცხოველები.

4.3 ვეტერინარული მეცნიერებები

4.4 სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიები

- სასოფლო-სამეურნეო და კვების ბიოტექნოლოგიები;
- GM ტექნოლოგიები (სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მსხვილფეხა საქონელი);
- მსხვილფეხა საქონლის კლონირება, მარკირებული სელექცია, დიაგნოსტიკა (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები დაავადებების ადრეული /ზუსტი გამოვლენისათვის) სამრეწველო ნედლეულის ბიომასის წარმოების ტექნოლოგიები, ბიოფარმაცია;
- აგრარული ბიოტექნოლოგიების ეთიკა.

4.5 სხვა აგრარული მეცნიერებები

5 სოციალური მეცნიერებები

5.1 ფსიქოლოგია

- საინჟინრო ფსიქოლოგია
- ფსიქოლოგია, სპეციალური (მოიცავს თერაპიას სწავლის, მეტყველების, სმენის, ვიზუალური და სხვა ფიზიკური და მენტალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის).

5.2 ეკონომიკა და ბიზნესი

- ეკონომიკა, ეკონომეტრიკა;
- ინდუსტრიული ურთიერთობები;
- ბიზნესი და მენეჯმენტი.

5.3 განათლების მეცნიერებები

- განათლება, ზოგადი; ტრენინგების, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის ჩათვლით;
- განათლება, სპეციალური (განსაკუთრებული ნიჭის მქონე, სწავლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის).

5.4 სოციოლოგია

- სოციოლოგია;
- დემოგრაფია;
- ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციოლოგიური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები, სოციალური სამუშაო).

5.5 სამართალი

- სამართალი,
- კრიმინოლოგია,
- პენოლოგია (მეცნიერება დასჯაზე და სასჯელის აღსრულებაზე).

5.6 პოლიტიკური მეცნიერებები

- პოლიტიკური მეცნიერებანი;
- საჯარო მართვა;
- ორგანიზაციული თეორია.

5.7	სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია • გარემოს დაცვის მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები); • კულტურული და ეკონომიკური გეოგრაფია; • ურბანული კვლევა (დაგეგმვა და განვითარება); • სატრანსპორტო დაგეგმვა და ტრანსპორტის სოციალური ასპექტები (სატრანსპორტო ინჟინერია შედის 2.1-ში).
5.8	მედია და კომუნიკაცია • ჟურნალისტიკა; • საინფორმაციო მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები); • საბიბლიოთეკო მეცნიერება; • მედია და სოციო-კულტურული კომუნიკაცია.
5.9	სხვა სოციალური მეცნიერებები • სოციალური მეცნიერებები, ინტერდისციპლინური; • სხვა სოციალური მეცნიერებები.
6	ჰუმანიტარული მეცნიერებები
6.1	ისტორია და არქეოლოგია • ისტორია (მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია შედის 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია კი შესაბამის ქვემიმართულებებში); • არქეოლოგია.
6.2	ენათმეცნიერება და ლიტერატურა • ენების ზოგადი კვლევები; • ცალკეული ენები; • ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა; • ლიტერატურის თეორია; • ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა; • ლინგვისტიკა.
6.3	ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია • ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია და ფილოსოფია; • ეთიკა (გარდა ცალკეული ქვედარგების ეთიკისა); • თეოლოგია; • რელიგიათმცოდნეობა.
6.4	ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა) • ხელოვნება, ხელოვნების ისტორია; • არქიტექტურული დიზაინი; • საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია); • ფოლკლორული კვლევები; • კინომცოდნეობა, რადიო და ტელევიზია.
6.5	სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

შენიშვნა: 1-6 მიმართულებები განსაზღვრულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციის შესაბამისად

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ბიუჯეტი

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით, სამეცნიერო საგრანტო პროექტის ბიუჯეტი და მასში გათვალისწინებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია კვლევასთან, იყოფა ხარჯების 6 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
3. მივლინება;
4. საქონელი და მომსახურება;
5. არაფინანსური აქტივები;
6. ზედნადები ხარჯები.

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება

საგრანტო დაფინანსება გულისხმობს პროექტის ძირითადი პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით გაცემულ გრანტს. აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება გრანტის ოდენობა, რომელიც დადგენილია პროექტის ძირითადი პერსონალისათვის, დაკავებული პოზიციის შესაბამისად.

2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება

აღნიშნული კატეგორია გულისხმობს დამქირავებლის მიერ პროექტის დამხმარე პერსონალისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით გაცემულ ხელფასს. აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია დამხმარე პერსონალისათვის მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

3. მივლინება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები), აგრეთვე სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯებს (მაგალითად, კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადი).

შენიშვნა 1: მივლინების მუხლიდან ხარჯის გაწვევას, გრანტის მიმღები ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით დამტკიცებული სადღეღამისო ხარჯების და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ნორმების შესაბამისად.

შენიშვნა 2: მივლინების მუხლი არ ითვალისწინებს ექსპედიციის და სხვა სახის სამუშაოებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

4. საქონელი და მომსახურება

აღნიშნული მუხლი მოიცავს 7 ქვეკატეგორიას:

4.1 ოფისის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხარჯებს მცირეფასიან და მრავალჯერადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, მცირეფასიან აქტივებზე (500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა), რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ასევე ძირითადი აქტივების, ფასეულობების და არაწარმოებული აქტივების მოვლა-შენახვის (ექსპლუატაციის) და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. მიმდინარე შეკეთების, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამ აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ისინი არ ცვლიან აქტივების საექსპლუატაციო თვისებებს, უზრალოდ ინახავენ მათ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

ოფისის ხარჯები მოიცავს:

- საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკენცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენას;
- კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯს, როგორიცაა მცირეფასიანი და ხშირ შემთხვევაში ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯები;
- ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯს;
- მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯს: ტელევიზორი, მაცივარი, კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები), ასლგადამღები, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა (ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა, აუდიო-ვიდეო აპარატურა), მობილური ტელეფონი, ტელეფონის, ფაქსის აპარატი, მუსიკალური ინსტრუმენტი, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი;
- საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებს, როგორიცაა საოფისე ავეჯი, რბილი ავეჯი, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის (სამზარეულოს ინვენტარი, ტანსაცმლის საკიდი, ბეჭედი/შტამპი, მაგიდის სანათი, სურათის ჩარჩო, საათი, ცეცხლგამძლე კარადა (სეიფი) და სხვა საოფისე ინვენტარი) შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი;
- ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებს, რაც გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შეძენის ხარჯს;
- რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების ხარჯებს;
- საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- საფოსტო მომსახურების ხარჯებს, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ საფოსტო, მათ შორის ამანათების, დეკრების, რადიოგრამების და სხვა სახის გზავნილების ხარჯებს;
- სამსახურებრივი და საცდელი ცხოველების შესყიდვასთან და მოვლა-შენახვასთან (მათ შორის ცხოველების კვების ხარჯი) დაკავშირებულ ხარჯებს.
- სხვა ოფისის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან.

4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები

აღნიშნული კატეგორია გულისხმობს როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც და მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), არარეზიდენტებისათვის საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

4.3 კვების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი ლოგინის თეთრეულის, ლეიბების, საბნების, ბალიშების შეძენისა და შენახვის ხარჯებს, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, უნიფორმის და შესაბამისი სპეციალური დანართების შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ფარდების, ფარდა-ჟალუზების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის, შენახვის, შეკერვისა, გადაკეთების და სხვა მსგავს ხარჯებს.

4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, კერძოდ:

- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს, რომელიც მოიცავს ბენზინის, დიზელისა და სხვა საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს;
- მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯს;
- ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯებს, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა-შენახვის ხარჯებს;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის სხვა ხარჯებს;

4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამეცნიერო კვლევითი ექსპედიციის ან/და საველე სამუშაოების ფარგლებში მგზავრობის ხარჯებს, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებს, საწვავის შესყიდვის ხარჯებს, კვების ხარჯებს, ბინის დაქირავების ხარჯებს, ექსპედიციისათვის საჭირო აღჭურვილობის ხარჯებს, ექსპედიციასთან და საველე სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

- ბანკის მომსახურების ხარჯებს;
- ექსპერტიზის, შემოწმებების, ლაბორატორიული და სხვა მომსახურების ხარჯებს;
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

- რეკლამის, კვლევის შედეგების პრეზენტაციებისა და საჯაროობის/ხელმისაწვდომობის ზრდის ხარჯებს;
- სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (ტრანსპორტის, კვების და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯის გამოკლებით. მაგალითად ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა აქტივების ქირავნობის ხარჯები);
- საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს;
- საარქივო მომსახურების ხარჯებს;
- კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწულ ხარჯებს;
- სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ხარჯებს, მათ შორის: საცდელი მაკეტებისა და ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების, ქიმიკატების, ქაღალდების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტის შეძენის ხარჯებს, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯებს, საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ლაბორატორიების/კაბინეტებისათვის სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯებს, სისხლის და პლაზმის შეძენის და სხვა სამედიცინო ხარჯებს, ასევე სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენას; რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების და სხვა მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენის ხარჯებს; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სტანდარტიზაციასთან და სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სიგელებისა და სერტიფიკატების ხარჯებს; აქტივების იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სხვადასხვა მოსაკრებლების, საკომისიოების და ბილეთების შეძენის ხარჯები; დანადგარების დაზღვევის ხარჯს, სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა: საცდელი ფაქტობრივი გაბურღვის ხარჯები, აგრეთვე ტესტირების ჩასატარებლად გაწეული ხარჯები.
- სხვა დანარჩენი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და არ კლასიფიცირდება წინამდებარე დოკუმენტში.

შენიშვნა 1: საქონელი და მომსახურების მუხლი არ ითვალისწინებს ზედნადები ხარჯების მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებს.

შენიშვნა 2: საქონელი და მომსახურების მუხლი არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

5. არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები; არაწარმოებული აქტივები.

5.1 ძირითადი აქტივები არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს. ისეთი საგნები, რომლებსაც ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი გააჩნიათ, მაგრამ განკუთვნილი არ არიან მრავალჯერადი გამოყენებისათვის, არ შეიძლება კლასიფიცირდებოდეს, როგორც ძირითადი აქტივები (მაგალითად საწვავად გამოყენებადი ნახშირი).

ძირითადი აქტივების შეძენა მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, ასევე პროექტის მომზადების/პროექტირების ხარჯებს, აქტივის შეძენასთან დაკავშირებული მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯები და სხვა. ხოლო აქტივების გასვლის შემთხვევაში, საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივების შეძენა. კაპიტალურ შეკეთებაში იგულისხმება აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და

გაფართოება, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და იგი ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, სიმძლავრეს ან ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების პერიოდს. ამასთან, ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები, რაც გავლენას არ ახდენს მათ საწარმოო სიმძლავრესა და სასიცოცხლო ციკლზე, აღირიცხება როგორც „საქონელი და მომსახურება“.

ძირითადი აქტივები მოიცავს 4 ქვეკატეგორიას:

5.1.1 სპეციალური ტექნიკა

აღნიშნულ კატეგორიაში აღირიცხება სპეციალური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ა.შ. და იგი მოიცავს:

- ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას
- ბულდოზერებს და სხვა დანარჩენ სპეციალურ ტექნიკას
- სხვა სპეციალურ ტექნიკას.

5.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა. აღნიშნული მუხლი მოიცავს – საერთო და სპეციალური მოხმარების მანქანებს; საოფისე, საბუღალტრო და კომპიუტერულ მოწყობილობებს და სხვა მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს;

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ტელევიზორი;
- მაცივარი;
- კომპიუტერი;
- მობილური ტელეფონი;
- პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები;
- უწყვეტი კვების წყარო;
- ხმის ჩამწერი აპარატურა;
- ფოტოაპარატი;
- ვიდეო-აუდიო აპარატურა;
- ტელეფონის, ფაქსის აპარატი;
- მუსიკალური ინსტრუმენტი;
- სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები;
- ოპტიკური ხელსაწყო;
- ავეჯი (რბილი ავეჯის გარდა);
- ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური, ქიმიური და ბიოქიმიური, ტექნიკა, ციფრული და ოპტიკური მიკროსკოპები, ბიოლოგიური, ქიმიური კვლევის აპარატები, ანალიზატორები, სპექტრომეტრები, სპექტროფოტომეტრები, PH მეტრები, ქრომატოგრაფები;
- სხვა სამეცნიერო დანიშნულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

5.1.3 სხვა ძირითადი აქტივები

აღნიშნულ მუხლში შედის ცხოველები და მცენარეები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტილად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, მათ შორის, სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები. ამ კატეგორიაში გაერთიანებულ ცხოველებს

განეკუთვნებიან: გასამრავლებელი საქონელი (თევზეულისა და შინაური ფრინველების ჩათვლით); მეწველი საქონელი; საჯიშე პირუტყვი; ცხვრები ან სხვა ცხოველები, რომლებიც გამოიყენება შალის საწარმოებლად; აგრეთვე ტრანსპორტირებისათვის და სხვა სამეცნიერო დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი საქონელი და სხვა.

ამ კატეგორიაში გაერთიანებულ მცენარეებს განეკუთვნებიან: ხეები, ვენახები და ბუჩქნარები, რომლებიც კულტივირდება ხილის, თხილის, ფისისა და მერქნის მოსაყვანად და სხვა.

ამასთან, თუ აღნიშნული მცენარეები და ცხოველები ერთჯერადი გამოყენებისაა, როგორცაა წინასწარ განსაზღვრული დასაკლავი საქონელი და შემად გამოსაყენებელი ხეები, აღნიშნული არ კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი აქტივები.

5.1.4 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც წარმოებაში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება და მათი მომხმარებელია მხოლოდ მათზე საკუთრების ან ლიცენზიის მქონე სუბიექტი. აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება:

-კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს პროგრამებს, მათ აღწერილობებსა და დამხმარე მასალებს როგორც სისტემური, ასევე გამოყენებითი პროგრამებისთვის, რომელთა მოხმარებაც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი; აღნიშნული ასევე მოიცავს ფართო მონაცემთა ბაზის შემუშავებას ან შესყიდვას;

-სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორცაა: ფილმები, ხმის ჩანაწერები, ხელნაწერები, მუსიკალური ნაწარმოები, სპორტული მოვლენები, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა.

5.2 არაწარმოებული აქტივები

აღნიშნული კატეგორია ასევე მოიცავს საზოგადოებრივი მოწყობისათვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომლებიც ეფუძნება სამართლებრივ ან საბუღალტრო ქმედებებს. ზოგიერთი ასეთი აქტივი მფლობელს უფლებას აძლევს წარმართოს ესა თუ ის კონკრეტული სახის საქმიანობა, ან აწარმოოს კონკრეტული სახის საქონელი ან მომსახურება და, ამასთან, სხვა ერთეულებს აუკრძალოს მსგავსი საქმიანობის წარმართვა მესაკუთრის ნებართვის გარეშე. სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავენ დაპატენტების ობიექტებს.

პატენტები უზრუნველყოფენ გამოგონებების დაცვას სამართლებრივად ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. დასაცავი გამოგონებების მაგალითებია: ნივთიერებათა შემადგენლობები, პროცესები, ელექტრონული და ელექტროსქემები, მოწყობილობები, ფარმაცევტული შემადგენლობანი და ხელოვნურად შექმნილი ცოცხალი ორგანიზმების ახალი სახეები.

შენიშვნა: გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, პლანშეტური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის შეძენა.

6. ზედნადები ხარჯები

ზედნადები ხარჯები გულისხმობს პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევ არაპირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს:

- კავშირგაბმულობის ხარჯებს, როგორცაა შიდასაქალაქო სატელეფონო მომსახურების, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების, მობილური ტელეფონის, სატელევიზიო არხებით სარგებლობის, ინტერნეტით სარგებლობის, სპეციალური კავშირის და კავშირგაბმულობისთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯები;

- კომუნალურ ხარჯებს, როგორცაა ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, კანალიზაციისა და ასინილიზაციის, გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯებს.
- შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს
- ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯებს;
- შენობის პასპორტიზაციასთან და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ტენდერის ხარჯებს;
- პროექტის განხორციელებასთან და მის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა არაპირდაპირ ხარჯებს;
- წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო-კვლევითი შიდა მიზნობრივი დაფინანსებისათვის გასაწევ ხარჯებს.